საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის
31 ოქტომბრის #2-212 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი #1

ქ. თბილისი 10 ნოემბერი, 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის წევრები:

იური ნოზაძე	მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გივი მერაბიშვილი	იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ოთარ შამუგია	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
თამარ ზედგინიძე	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

კომისიის აპარატის წევრები:

ხათუნა ჩიქოვანი	შესყიდვებისა და ქონების მართვის სამმართველოს უფროსი;
თეიმურაზ კვირკველია	შესყიდვებისა და ქონების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
მარიამ სამხარაძე	შესყიდვებისა და ქონების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

<u>დღის წესრიგი:</u>

2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის (ლანდშაფტური დიზაინი, გარე განათება, პარკირების ნიშნულები, მოასფალტება) მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციის (პროექტის) შექმნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტების განხილვა-დამტკიცება.

<u>მოისმინეს:</u>

კომისიის აპარატის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან ჩატარებული თათბირის ამა წლის 5 მაისის #18 საოქმო გადაწყვეტილებით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს დაევალა ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში მდებარე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რიგი ორგანიზაციების ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციისა (პროექტის) და ესკიზის შექმნის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსის ჩატარება. ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე მიმდინარე წლის 13 მაისს გამოცხადებული

კონკურსი არ შედგა. 2014 წლის 7 ივლისის #26 საოქმო გადაწყვეტილებით კვლავ დადგა შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის საკითხი, რის გამოც საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, მოხდა პირველ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების გამოყოფა და განხორციელდა სამინისტროს შემოსასვლელისა და მაჩვენებლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებისა და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიქმნა საკონკურსო დოკუმენტაციის თავდაპირველ ვარიანტში ცვლილების და კორექტირებების შეტანის აუცილებლობა.

კომისიის აპარატის წევრმა ხ. ჩიქოვანმა კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კორექტირებული საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების პირობების გათვალისწინებით, ბაზრის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 30,000.00 ლარი.

"შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანების შესაბამისად, საქონლის ერთგვაროვნების კოდად განისაზღვრა 71222000.

კომისიის აპარატმა კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების პროექტები.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მოთხოვნებს.

სატენდერო კომისიამ

<u>დაადგინა:</u>

- დამტკიცდეს საკონკურსო განცხადება და თანდართული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად;
- საკონკურსო კომისიის აპარატმა საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — იური ნოზაძე

კომისიის წევრები: — გივი მერაბიშვილი

ოთარ შამუგია

თამარ ზედგინიძე

კომისიის აპარატის წევრი: — ხ. ჩიქოვანი